

5

ქართული ლიტერატურა

მოსწავლის წიგნი
ნაცილი II

ნინო გორდელაძე
თიხათიხ კუსიანიძე



გრიფმინიჭებულია საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.



შინაარსი

თავი 6.

თანაგრძნობა და სინანული	4
ია ვაუა-ფშაველა	5
ქართლის ტყვე ხალხური	9
მუხა რევაზ ინანიშვილი	10
თეორია. ჩანახატი	13

თავი 7.

ვაჟკაცსა – გული რკინისა.	15
საგმირო ლექსები ქართული ხალხური პოეზიიდან.	16
დათუნა გოცირიძე (ძველებური ამბავი) აკაკი წერეთელი.	18
თეორია. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი	22

თავი 8.

სიცილი გადამდებიაო!	24
რა უფრო საკვირველია ხალხური	25
I. ჭაში ჩავარდნილის იგავი შოთა რუსთაველი	29
II. დათვი და მონადირენი სულხან-საბა ორბელიანი	31
ამბად გაგონილნი იღია ჭავჭავაძე	33
რაზედ იცინოდნენ ყვავილები? რევაზ ინანიშვილი	36
თეორია. იუმორი, ირონია	40

თავი 9.

და მე ვიგონებ	41
შემოდიოდა ჩვენში კალანდა ანა კალანდაძე	42
თეორია. წერილი	43
ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი (საახალწლო მოთხრობა)	45
ხელოსნობა საქართველოში (ნაწყვეტები) ფილიპე გოგიჩაიშვილი	51
თეორია. ლექსიკონი	55

თავი 10.

დედაენის ძალა	57
იავნანამ რა ჰქმნა? (მოთხრობა) იაკობ გოგებაშვილი	58
თეორია. წიგნი და კინო	81
პოეზიის საღამო	83
ლექსიკონი	85

თავი 6

ენ-

თანაგრძნობა და სინაცხლი

ვახსენოთ ერთხელ კიდევა
ჩვენი ლამაზი მხარეო,
ღმერთო, უშველე ტურფასა,
გზა გაუნათე, მთვარეო!
ვაჟა-ფშაველა



აქ შეიძლო...

- ია ვაჟა-ფშაველა
- ქართლის ტყვე ხალხური

- მუხა რ. ინანიშვილი
- თეორია. ჩანახატი

თეორის შესავალი

- მოპევევი ამბავს შენი ცხოვრებიდან, რომელმაც შენში თანაგრძნობა ან სინანული გამოიწვია.
- იმსჯელეთ ვაჟა-ფშაველას სტროფში გამოვლენილი განწყობის შესახებ.

1.

უღრან ტყეში მოსული ვარ. სანამ ცოცხალი ვარ, ჩემი სილამაზით და-ვატკბობ ტყეს, ბალას და იმ გაღმიდან გამომცექალ გულხავსიან კლდეს, სურნელებას მივაფრქვევ არემარეს. ყველას ვუყვარვარ: აგერ იმ ყუნჭს* თვალი სულ ჩემკენ უჭირავს, მიცინის ხოლმე, უნდა, ჩემთან მოვიდეს, მაკოცოს, მაგრამ არ შეუძლია, მხოლოდ შორიდან გამიცინებს, გამიღიმებს საცოდავი, თუმცა უშნოდ, მაგრამ გულკეთილობა კი დიდი გადაეფინება ხოლმე პირზე.

განა მარტო იმას უხარია ჩემი სიცოცხლე? წვერხმელი ხეებიც მე დამხ-არიან ზევიდან, თვითონ თავშიშველნი, ტოტებს მე მაფარებენ: ჩვენს იას არ შესცივდეს, ან არაფერმა აწყინოსო. პირდაპირ შხაპუნა წვიმას არ უშვებენ ჩემამდე: წვიმას შეუძლია ერთბაშად ჩამომაცალოს ფოთლები. უფოთლე-ბოდ ყოფნა ჩემთვის და სიკვდილი ერთია. არა, ხეები: არყი, წიფელი, თხი-ლი, თამელი, დუდგულა გარშემო მეხვევიან, წვიმის ნამს ინახავენ ტოტე-ბით, ფოთლებით და მერე ნელ-ნელა მამცვრევენ* პირზე თითო ნამობით, წვეთ-წვეთად, პირს მბანენ.

შე ყელს მოვიღერებ და ვინატრებ, ნეტა სიმღერა შემეძლოს, ნეტა დამ-ბადებელს ჩემთვის ნიჭი მოეცა, რომ მექო მაღლა ცა და ღრუბელი, მზე, ეს ჩემი მფარველი ხეები, ეს მთები, ის ჭალები და ღაბუა ჩიტები, რომელნიც ხმელ, ყვითელ ფოთლებში ჩემ წინ დაგოგავენ* და ხანდახან შემომჭიკვე-ბენ პირში, მათამაშებენ, უხარიათ ჩემი სიცოცხლე.

ჩემი ერთი თვის სიცოცხლე სხვის ოცდაოთხი თვის სიცოცხლეს სჯობია, მაგრამ დიდხანს სიცოცხლეს კი დანატრებული ვარ.

დილას ერთმა წიფლისჩიტამ იგალობა, ლამაზი რამ იყო, – ყელწითელი, ღაბუა*. იმასაც ჩემსავით თავი მოსწონდა, იხედებოდა გულზე და მხრებზე. ყველას მოსწონს თავი, ყველას უხარია სიცოცხლე, ყველას უყვარს ბუნება.



უპასუხე შეკითხვებს

- 1.** საიდან ჩანს, რომ ია, მართლაც, ლამაზია?
- 2.** როგორი დამოკიდებულება აქვს იას ტყესთან, კლდესთან, ბალახთან?
- 3.** როგორ ახასიათებს ია ყუნჭს?
- 4.** შენი აზრით, რატომ იყვნენ ხეები წვერხმელი, „თავშიშველნი“?
- 5.** როგორ ეპყრობიან იას ხეები?
- 6.** რას ნატრობს ია?
- 7.** შენი აზრით, რას გულისხმობს ია ნათქვამში: „ჩემი ერთი თვის სიცოცხლე სხვის ოცდაოთხი თვის სიცოცხლეს სჯობია“?
- 8.** რა საერთო, მსგავსი თვისებები აქვთ იასა და წიფლისჩიტას?
- 9.** რა განწყობა სუფევს ტყეში? როგორი ურთიერთობა აქვთ მცენარეებსა და ფრინველებს ერთმანეთთან? დაიმოწმე ტექსტიდან ის სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც მიგვანიშნებს ტყის ბინადართა კეთილგანწყობაზე.
- 10.** ამ ნანარმოებში ია თავის ამბავს მოგვითხრობს, ყუნჭს კი ია უყვარს და უცინის მას, ჩიტები იას ათამაშებენ... რა ეწოდება მხატვრულ ხერხს, რომელსაც ასეთ შემთხვევებში იყენებს მწერალი?

მოძებნე

- 11.** აღნიშნე, ტექსტის რომელ აბზაცებში ჩანს იის მიმართ ა) ხეების, ბ) ფრინველების, გ) ყუნჭის დამოკიდებულება.
- 12.** იპოვე მოთხრობაში ადგილი, საიდანაც ჩანს, რომ ტყე, მართლაც, უღრანი იყო.
- 13.** მოქებნე ისეთი წინადადებები, რომლებშიც გადმოცემულია ტყის ბინადართა ხალისიანი განწყობა.

იმსჯელე

- 14.** დააკვირდით მწერლის მინიშნებებს და დაახასიათეთ: კლდე, ყუნჭი, ხეები, ჩიტები.

დაწერე

- 15.** დაწერე ამ მოთხრობის სამი მონაკვეთის შინაარსი:
 - ა) ია და ყუნჭი,
 - ბ) ია და ხეები,
 - გ) ია და ჩიტები.
- 16.** გვიამბე მოთხრობის შინაარსი მესამე პირში, წარსულ დროში; დაიწყე ასე: „უღრან ტყეში ია ამოვიდა და თავისი სილამაზით ატკბობდა არემარეს...“

2.

გუშინ ცამ იჭექა. ჭექა-ქუხილი ჩვენ არ გვაშინებს: ქუხილი წვიმის მო-
მასწავებელია, წვიმის მოსვლა მცენარეებს უხარიათ. ახლა ისინი ახალ
კაბებს და ქათიბებს* ჩაიცვამენ. აი, ეს ორი დღეა, რაც ჩემი დობილი სა-
სუტელაც ამოჩნდა. უხარია საცოდავს, სულ თავს უკრავს დედამიწას, მზის
სინათლეს. მზე – მამაა, ზევიდან დაგვყურებს და გვეალერსება, თვალყურს
გვადევნებს.

მეჩურჩულება სასუტელა, ზღაპრებს მიამბობს სიცოცხლეზე, სიყვარ-
ულზე. ხანდახან გადაიკისებს, გადამეხვევა და მაკოცებს... გუშინ დილ-
ით მე და ჩემმა დობილმა ორივემ ვიტირეთ....

რა შეუბრალებელია კაცი?! რასაც კი დაინახავს, უნდა, რომ თავის სა-
სარგებლოდ მოიხმაროს. ალბათ, ვერ აფასებს ჩვენს სილამაზეს! ჩვენ წინ
კაცმა გამოიარა, ცალ მხარზე ცული ედო, მეორეზე თოფი ეკიდა. მიადგა
ერთ მშვენიერ ტოტგართხმულ წიფელს, დაუშინა ცული და წააქცია. სა-
ბრალო, როდესაც წაიქცა, დაიკვნესა. ჩვენს იქით გუგულისკაბა ამოსუ-
ლიყო და ჯერ ხმელ, ჩამოცვენილ ფოთოლს არ ამოსცილებოდა. როდესაც
ხე წაიქცა, გადააცალა ზევიდან ფოთლები და წითლად გამობრჭყვინდა,
ცრემლები დასხმოდა ჩაღრმავებულ გულში.

შუადღისას დაღლილ-დაქანცული ქედანი მოვიდა, დაჯდა ჩვენ წინ
თელის* ტოტზე და დაინყო ღუღუნი. უხაროდა იმასაც გაზაფხულის მოს-
ვლა. უცებ თოფი გავარდა, ქედანმა ხმა გაკმინდა, ჯერ ფეხით ჩამოეკიდა
ტოტზე, მერე ძირს ჩამოვარდა, ჩემ წინ დაეცა. მე და სასუტელას კანკალი
მოგვივიდა... მე გარკვევით არაფერი მესმის, მხოლოდ რაღაც ბუბუნი,
გრიალი, ბუნდი* ურიამული მოდის ჩემამდე...

ვაპმე, რა საბრალო არი
ია, მოსული მთაზედა!
ბეჩავს* დააზრობს სიცივე,
ან ელვას დაპკრავს თავზედა;
ღმერთს მიუცია საწყლისად*
მოკლე სიცოცხლის უამია,
ქვეყნისა მისგან შვენება
ერთი ბეჩავი წამია...



ვაჟა-ფშაველა

უპასუხე შეკითხვებს

1. რატომ არ აშინებს იას ჭექა-ქუხილი?
2. რას ნიშავს ნათქვამი: „ახლა ისინი (მცენარეები) ახალ კაბებს და ქათიბებს ჩაიცვამენ“?
3. ვის უამბობს სასუტელა ზღაპრებს და რას ეხება მისი მონათხრობი?
4. განმარტე, რას და რატომ უწოდებს ია მზეს?
5. რატომ არის, იის თქმით, კაცი შეუბრალებელი?
6. განმარტე, რა არღვევს ტყის ჰარმონიას მოთხოვნის ბოლო აბზაცში?

- 7.** ადამიანის რა თვისებებს გამოკვეთს მწერალი ამ მოთხრობაში?
- 8.** ია თვითონ ჰყვება თავის ამბავს. ვინ ამბობს მოთხრობაში ლექსის: „ვაჟმე, რა საბრალო არი“?
- 9.** როგორ დახასიათებ მწერალს, რომელმაც ასეთი ნაწარმოები შექმნა? რა არის მისი მიზანი?

იმსჯელი

- 10.** შენი აზრით, რისთვის ცოცხლობს ია; რას მიგახვედრა ამ მოთხრობამ?

მოძებნე ტექსტში

- 11.** მოძებნე სიტყვა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ სასუტელა მხიარულია.
- 12.** მოძებნე გამონათქვამი, რომელიც მიგვანიშნებს, რომ გუგულისკაბა ძალიან პატარა იყო.
- 13.** ლექსი, რომელიც მოთხრობას ახლავს, იაზე ნათქვამია: „ქვეყნისა მისგან შვენება ერთი ბეჩავი წამია“. მოძებნე ტექსტში მსგავსი შინაარსის წინადადება.
- 14.** მოთხრობის პირველ მონაკვეთში ტყის ბინადართა ცხოვრება დახატულია ნათელ ფერებში. მოძებნე ის წინადადება, რომელშიც განწყობა იცვლება.
- 15.** ია თავის განცდებს მოგვითხრობს, ყუნჭი იცინის, ჩიტები თამაშობენ, სასუტელა ზღაპარს ჰყვება... მოძებნე ტექსტში სხვა ადგილებიც, სადაც მცენარეებს, ფრინველებსა და უსულო საგნებს ადამიანის თვისებები მიეწერება.

იმსჯელი

- 16.** დააკვირდი, რა დამოკიდებულება აქვთ მცენარეებს, ფრინველებს ერთმანეთის მიმართ, ტყის მიმართ; შეადარე მათ დამოკიდებულებას ადამიანის დამოკიდებულება ბუნების მიმართ.
- 17.** რა არის ის მთავარი თვისება, რომელიც ახასიათებს ტყის ბინადართ: მცენარეებსა და ფრინველებს? სიყვარული, მეგობრობა, კეთილგანწყობა, – კიდევ რა შეიძლება ვუწოდოთ ერთმანეთთან მათ ურთიერთობას?

დაწერე

- 18.** დაწერე თხზულება სათაურით „თანაგრძნობა“ (ამ მოთხრობიდან ამოარჩიე სათაურის შესაბამისი მონაკვეთები და თხზულებაში გამოიყენე).
- 19.** მოიგონე ზღაპარი ტყის ბინადართა ცხოვრების შესახებ.

მოძებნე ტექსტში

- 20.** მონიშნე ორი ან სამი ისეთი წინადადება, რომლებიც მხატვრული თვალსაზრისით ყველაზე მეტად მოგეწონა.

დახატე

- 21.** შეარჩიე სათაური და ამ მოთხრობის მიხედვით დახატე:
 - ა) უღრანი ტყე;
 - ბ) დობილები;
 - გ) ია და წიფლისჩიტა.

ქართლის ტყვე

ქართლის ტყვე გამოპარულა,
გამამხდარიყო ზღვასაო,
ნუ ჩაუხდები, მთვარეო,
ნუ ჩაუბნელებ გზასაო!
ნუ გაუყინავ, მყინვარო,
გადასავალსა მთასაო!
ხიდნო, ნუ ჩაუცვივდებით,
გაახდინოდით წყალსაო!
ნუ აუტირებთ დედასა,
გასათხოვარსა დასაო!

ხალხური

უპასუხე შეკითხვებს

- რას ნიშნავს „ქართლის ტყვე“? რა იცით ისტორიიდან ტყვეობაზე?
- გამოპარულ ტყვეს ზღვა გადმოულახავს, მთა უნდა გადაიაროს. გაიხსენე, რომელ გამოთქმას ვხვდებით ზღაპრებში, როდესაც გმირი დიდ გზას გაივლის?
- ლექსის მთქმელი მიმართავს მთვარეს, მყინვარს, ხიდებს. რას სოხოვს მათ?
- შენი აზრით, რა განცდას ავლენს ლექსის მთქმელი ტყვის მიმართ?
 - სინანულს;
 - თანაგრძნობას.
- გაიხსენე, ხომ არ წაგიკითხავს ისეთი ლექსი, რომელშიც ავტორი ბუნებას – მზეს, ზღვას ან მთებს ესაუზრება?

გრამატიკა

- იპოვე ლექსში მიმართვის ნიმუშები.
- მოძებნე ნარ-იანი მრავლობითის ფორმა.
- გადაიწერე და აღადგინე გამოტოვებული სასვენი ნიშანი:

ნუ ჩაუხდები მთვარეო ნუ ჩაუბნელებ გზასაო!
ნუ გაუყინავ მყინვარო გადასავალსა მთასაო!
ხიდნო ნუ ჩაუცვივდებით, გაახდინოდით წყალსაო!
- იპოვე ლექსში ზმნის წარსული დროის ფორმა (III. რა უქნია?)
რომელი ზმნები დგას მომავალ დროში?



მუხა

ეს მუხა ტყის პირას დგას – ბებერი, ჯმუხი, ტანდაკოურილი*, ფოთლებ-შეთხელებული. აღარც ჩრდილს იფენს, აღარც რკოს ისხამს.

იშვიათად თუ ეწვევა ვინმე, – ადამიანი, ცხოველი თუ ფრინველი. საუკუნეებით დაღლილს, განამებულს, ხანდახან ქორი თუ მოებმება ხმელ კენწეროზე, ისიც უძრავი, მრისხანედ მიშტერებული ველისკენ; ხანდახან კოდალა თუ მოინახულებს; სწრაფად, უგულოდ შემოუფრენს ირგვლივ, თითქოს ვალდებულების მოსახდელად, ორიოდეჯერ დაჰკრავს ნისკარტს, – კივ-კივო! – ანუგეშებს და გაფრინდება სხვა ხეებისკენ. ციყვებმაც კი მიატოვეს და წავიდნენ...

ამ რამდენიმე წლის წინათ მუხის მეზობლად, ლამაზი თელის ძირში, მონადირეებმა შეისვენეს. დაანთეს ცეცხლი, გაშალეს სუფრა, დაიწყეს პურობა და სმა. ცოტა რომ შეზარხოშდნენ, აყაყანდნენ: არა, მე გჯობივართ სროლაში, არა – მეო.

ერთი მონადირე წამოდგა და თქვა: – აი, ბურთი და, აი, მოედანი! – მუხის დიდ კოურზე ასანთის კოლოფი დასვა, – ვესროლოთო.

ზოგი ფეხმორთხმული ისროდა, ზოგი – წაწოლილი. სიცილით გაშვებული ტყვიები წივილით ესობოდნენ მუხას, სიმწრის ნაფლეთები გულხეთქებით ცვიოდა აქეთ-იქით.

მონადირეები რომ წავიდნენ, ქარი ამოვარდა, მუხის სველი ჭრილობა მიწით ამოივსო.

გამოხდა ხანი, თვეები, წლები. და, აი, წლეულს, გაზაფხულზე, ის მონადირე, ასანთის კოლოფი რომ დასვა მუხაზე, უკვე ჭარმაგი*, პატარა შვილიშვილთან ხელჩაკიდებული, ისევ მოხვდა ამ ადგილებში.

მუხის ნაჭრილობევში მთელი ბლუჯა ია ამოსულიყო და ურიამულით ყვაოდა.

მონადირის შვილიშვილმა, ლამაზმა, ყურებსიფრიფანა გოგონამ, აღტა-ცებულმა ჩაიმუხლა, მუხას ხელები მოხვია და მიეხუტა.

მონადირემ უყურა, უყურა, მერე ქუდი მოიხადა და თავდახრილი გა-ჩერდა.

რევაზ ინანიშვილი

უპასუხე შეკითხვებს

- 1.** როგორი ეპითეტებით ახასიათებს ავტორი მუხას პირველსავე წინადადებაში?
- 2.** რას გულისხმობს გამოთქმა: „ხანდახან ქორი თუ მოებმება ხმელ კენწეროზე“?
- 3.** ციყვებმა სულ მიატოვეს მუხა. რომელი ფრინველი უფრო იჩენს „საუკუნეებით დალლილი“ მუხის მიმართ კეთილგანწყობას, თანაგრძნობას?
 - ა) ქორი, რადგან ხანდახან მაინც დაჯდება მის კენწეროზე და იქიდან ათვალიერებს მინდოორ-ველს;
 - ბ) კოდალა, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს უგულოდ, ვალდებულების მოსახდელად შემოუფრენს ირგვლივ, მაგრამ მაინც ანუგეშებს ბებერ ხეს.
- 4.** რა დამოკიდებულებას იჩენენ მონადირენი მუხის, ზოგადად, ბუნების მიმართ?
- 5.** მოთხოვთ გვხვდება წინადადება: „სიცილით გაშვებული ტყვიები წივილით ესობოდნენ მუხას, სიმწრის ნაფლეთები გულხეთებით ცვიოდა აქეთ-იქით“. ამ წინადადების შინაარსის რომელი შეფასებაა სწორი?
 - ა) ავტორს სურს, „სიცილისა“ და „სიმწრის“ დაპირისპირებით ხაზი გაუსვას მონადირეთა გულგრილობას და მუხის ტკივილს;
 - ბ) ავტორს სურს, შეარბილოს მონადირეთა სისასტიკე და ამიტომ უწოდებს ტყვიას „სიცილით გაშვებულს“.
- 6.** როგორ შეიცვალა მუხის ნაჭრილობევი წლების შემდეგ?
- 7.** „ურიამული“ ფრინველთა ან ადამიანთა ხალისიან ხმაურს ნიშნავს. რატომ ამბობს მწერალი: „მთელი ბლუჟა ია ამოსულიყო და ურიამულით ყვაოდა“?
- 8.** რა განცდა გაუჩნდა პატარა გოგონას მუხის დანახვისას და როგორ გამოხატა მან თავისი დამოკიდებულება?
- 9.** რაზე მიგვანიშნებს მწერალი, როდესაც ამბობს: „მონადირემ ქუდი მოიხადა და თავდახრილი გაჩერდა“?
 - ა) მონადირე გააოცა და მოხიბლა ხეზე აყვავებულმა იებმა;
 - ბ) მონადირეს სირცეცვილისა და სინანულის განცდა დაეუფლა;
 - გ) აყვავებული იების სილამაზემ მონადირეს ძველი დრო გაახსენა.

იმსჯელე

- 10.** როგორ გამოიყურება მუხა მოთხრობის ბოლოს? იმსჯელე, რატომ აღარ უწოდებს მას ავტორი ბებერს, ჯმუხს, მიტოვებულს? რამ გამოაცოცხლა მუხა?
- 11.** შენი აზრით, რა ცვლილება მოხდა ჭარმაგი მონადირის დამოკიდებულებაში ბუნების მიმართ? სავარაუდოდ, როგორ აფასებს მონადირე თავის ძველ საქციელს?
- 12.** იმსჯელე, შენი აზრით, რამ შეცვალა მონადირის დამოკიდებულება: იებმა თუ შვილიშვილის საქციელმა?
- 13.** როგორ ფიქრობ, ეს პატარა გოგონა ოდესმე მოიქცევა ისე, როგორც ახალგაზრდა მონადირეები მოექცნენ მუხას? რატომ? შენი აზრით, გოგონას ჩაუნერგეს ბუნების მიმართ მონიჩნების გრძნობა, ბუნების სილამაზით აღტაცების უნარი თუ ეს თვისება თანდაყოლილია?
- 14.** შენი აზრით, რა სურდა ეთქვა მწერალს ამ მოთხრობით? გაიხსენე, ოდესმე თუ განგიცდია ბუნების სილამაზით, იდუმალებით აღტაცება? როგორ გამოხატავ ხოლმე ამ განცდას?

დაწერე

- 15.** დაწერე ამ მოთხრობის მოკლე შინაარსი:
 - ა) თითოეულ აბზაცში მონიშნე შენი აზრით მთავარი წინადადება;
 - ბ) შემდეგ მონიშნული ამოკრიბე აბზაცების თანამიმდევრობის მიხედვით;
 - გ) შეავსე ეს აზრები ერთმანეთთან დასაკავშირებლად აუცილებელი სიტყვებით და რვეულის ერთ გვერდზე გამთლიანებულად დაწერე.
- 16.** დაწერე პატარა თხზულება ბუნების შესახებ. გაიხსენე, რამ მოახდინა შენზე ძლიერი შთაბეჭდილება. აღწერე მთა, ზღვა, წყარო თუ პატარა კენჭი, ია ან ბალახის ღერო... შეეცადე, გაიხსენო მაშინდელი განცდა და შენი სიტყვებით გადმოსცე.



თაორია

ჩანახატი

სახელმძღვანელოს ამ თავს „თანაგრძნობა და სინანული“ ჰქვია. როცა აქ თავმოყრილ ნაწარმოებებს კითხულობ, მართლაც, გეუფლება თანაგრძნობა, სინანული და სიბრალული. შეიძლება ასეთმა შეგრძნებამ რაიმე დაგახატვინოს – სახელდახელო ნახატი, რომელიც იმ წუთში შენს განწყობას გამოხატავს. შეიძლება, რვეულში ან ფურცელზე პატარა ჩანაწერიც გააკეთო, რომელშიც აღნერ, რას განიცდი იმ დროს.

შეიძლება, რაღაცამ ძალიან გაგახაროს და ამის აღნერა მოგინდეს ნახატით ან ნაწერით. შეიძლება, შენი ოცნება მხატვრულად ჩანერო ან ჩახატო.

რვეულში სახელდახელოდ გაკეთებულ ნახატს ან ჩანაწერს **ჩანახატი** ჰქვია.

ეს შენი თანატოლების მიერ სიტყვიერად გადმოცემული ჩანახატებია:

სოფელი

სახლი, ეზო, ბავშვები...

სახლი დიდია, ეზოც – დიდი, ბავშვი ბევრია, ძინარე შორია, ბებო მკაცრია, ნასვლა ძნელია...

ჩუმად ძინარისკენ, ჩუმად...

ცყაპ-ცყუპ, ცყაპ-ცყუპ...

ელენე ჩაბრაძე, 2018 წ.

ცა ლურჯია გუმბათივით

ცა ლურჯია გუმბათივით, როგორც ჩემი თვალები,

ამ დღის მინურულს მთვარეს კუყურებ მე...

ამ საღამოს თვალები კი ძალიან ჰვავს ჰაპაჩემის თვალებს...

ყვითელი კაშკაშა მთვარე ბებოს სახლში იპარება, როგორც ქურდი.

ღრუბელი რომ გადაიკლის, მთვარის სიღურჯეს იაც თვალს აყოლებს...

ლუკა ჭუთათელი, 2018 წ.

ზაფხული

გალუმჭული ეზო. სკელი ბავშვები. სანუბაოები და ნულით სავსე ვედროები. მოწმენდილი ცა და კაშკაშა ყვითელი ბურთი.

ნიკოლოზ მიქაელიძე, 2018 წ.